საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/497

ქ. ბათუმი 07 ოქტომბერი, 2014 წ.

ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათების საფუძველზე გამოიცა ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანება ,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელთა საგანმანათლებლო პროგრამის ვადა ამოიწურა 2013-2014 სასწავლო წლის ბოლოს და ვერ შეასრულეს პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.“

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდებაბ სუ-ს სტუდენტის სტატუსი. გამონაკლისი შეიძლება დაშვებული იქნას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“-ს მე-9 მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №102 დადგენილებით, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით სტუდენტებს, რომლებმაც ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მომართეს ბსუ–ს განცხადებით საგანმანათლებლო პროგრამის ვადის გაგრძელების თაობაზე, ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 11 სექტემბრის №01-09/350 ბრძანებით გაუხანგრძლივდათ სწავლის ვადა 2014-2015 სასწავლო წლის ბოლომდე. ხოლო იმ სტუდენტებს, რომელთაც არ მოუმართავთ ბსუ-სთვის საგანმანათლებლო პროგრამის ვადის გაგრძელების მოთხოვნით (დარჩენილი აკადემიური დავალიანება არ აღემატება 75 კრედიტს) კანონშესაბამისია შეუწყდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72- 76-ე და 95 – 101 -ე მუხლების „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული ,,რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“, ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №102 დადგენილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 05 სექტემბრის №4 გადაწყვეტილების, 2012 წლის 07 ივნისის №01-08/21 ბრძანების, ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეთ ბსუ–ს სტუდენტის სტატუსი იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ თეონა ნაცვლიშვილსა **(პ/ნ** [redacted] და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ მაგდა ურუშაძეს **(პ/ნ** [redacted], რომელთაც ბსუ–ს რექტორის 2014 წლის 08 აგვისტოს №01–09/316 ბრძანებით ბსუ–ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოსაცემად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში არ მოუმართავთ ბსუ–სთვის სწავლის გაგრძელების მოთხოვნით და დარჩენილი აქვთ აკადემიური დავალიანება (თეონა ნაცვლიშვილი - 70 კრედიტი, მაგდა ურუშაძე - 65კრედიტი);

2. ბრძანება ეცნობოთ დაინტერესებულ პირებს – თეონა ნაცვლიშვილსა და მაგდა ურუშაძეს, რისი უზრუნველყოფა დაევალოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატებს და კანცელარიას. ბრძანება ასევე განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52);

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე;

რექტორის მოადგილე,

ასოც.პროფესორი **ი.ბარამიძე**